

წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტური დანიშნულება და შესაბამისი უწყებები არ  
კისრულობენ რაიმე პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით

► **B** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის  
დირექტივა 2009/40/EC

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე  
ტესტირების შესახებ  
(შესწორებული ვერსია)  
(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

(ოფიციალური ჟურნალი L 141, 6.6.2009, გვ. 12)

ცვლილება შეტანილია:

► **M1** ევროკომისიის 2010 წლის 5 ივლისის დირექტივა 2010/48/EC

ოფიციალური ჟურნალი		
N <sup>o</sup>	გვერდი	თარიღი
L173	47	8.7.2010

## ▼B

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის  
დირექტივა 2009/40/EC

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე  
ტესტირების შესახებ  
(შესწორებული ვერსია)  
(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71-ე მუხლის  
საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე,<sup>1</sup>

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა შეთანხმების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების  
თანახმად,<sup>2</sup>

ვინაიდან,

- (1) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათ მისაბმელების<sup>3</sup> გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ საბჭოს 1996 წლის 20 დეკემბრის 96/96/EC დირექტივაში რამდენჯერმე განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება<sup>4</sup>. ვინაიდან აუცილებელია შემდგომი ცვლილებების განხორციელება, იგი ექვემდებარება შესწორებას კიდევ უფრო მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით.
- (2) საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ჩარჩოს ფარგლებში, ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე კონკრეტული საგზაო მოძრაობა სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ყველაზე ხელსაყრელ პირობებში, რაც გულისხმობს წევრ სახელმწიფოებში გადამყვანებთან დაკავშირებით მოქმედ როგორც უსაფრთხოების, ასევე კონკურენციის დაცვის პირობებს.
- (3) საგზაო მოძრაობის ზრდა და აღნიშნულის შედეგად გამოწვეული საფრთხე და უარყოფითი ზემოქმედება ყოველ წევრ სახელმწიფოს უქმნის უსაფრთხოებასა და

<sup>1</sup> ოფიციალური ჟურნალი C 224, 30.8.2008, გვ. 66.

<sup>2</sup> ევროპარლამენტის 2008 წლის 23 სექტემბრის მოსაზრება (ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

<sup>3</sup> ოფიციალური ჟურნალი C 46, 17.2.1997, გვ. 1.

<sup>4</sup> იხილეთ III დანართის ა ნაწილი.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მსგავსი სახისა და სერიოზულობის პრობლემებს.

- (4) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში ტესტირება უნდა იყოს შედარებით მარტივი, სწრაფი და ნაკლებად ძვირადღირებული.
- (5) ევროპულ გაერთიანებაში მოქმედი მინიმალური სტანდარტები და მეთოდები, რომელთა გამოყენებაც საჭიროა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დეტალების ტესტირებისთვის, განისაზღვრება ცალკე დირექტივით.
- (6) აუცილებელია ცალკე დირექტივაში გათვალისწინებული სტანდარტებისა და მეთოდების სწრაფი ადაპტირება ტექნიკურ პროგრესთან და აღნიშნული მიზნისთვის აუცილებელი ღონისძიებების სისრულეში მოყვანის ხელშეწყობისთვის, წევრ სახელმწიფოსა და ევროკომისიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება კომიტეტის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათ მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ დირექტივის ტექნიკური პროგრესის ადაპტირებასთან დაკავშირებით.
- (7) სამუხრუჭო სისტემის შემთხვევაში, საკმაოდ რთულია სათანადო მნიშვნელობების განსაზღვრა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ჰაერის წნევის პარამეტრები და მოსამზადებელი დრო, ევროპული გაერთიანების ფარგლებში აღჭურვილობასა და მეთოდებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიზეზით.
- (8) სატრანსპორტო საშუალებების ტესტირებასთან დაკავშირებით აღიარებულია, რომ ტესტირების მეთოდმა და განსაკუთრებით იმ ფაქტმა, გაიარა თუ არა ტესტირება სატრანსპორტო საშუალებამ დატვირთულ, ნაწილობრივ დატვირთულ ან დაუტვირთავ მდგომარეობაში, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ტესტირების განმახორციელებელი პირების ნდობის ხარისხზე სამუხრუჭო სისტემასთან დაკავშირებით.
- (9) ყოველ სატრანსპორტო საშუალების ნიმუშთან დაკავშირებით სხვადასხვა დატვირთულ მდგომარეობაში სამუხრუჭო ძალის საბაზო მნიშვნელობების განსაზღვრა ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას. აღნიშნული დირექტივა იძლევა ტესტირების ჩატარების შესაძლებლობას წარმოდგენილი რეჟიმის საფუძველზე, ყოველ სატრანსპორტო საშუალების კატეგორიასთან დაკავშირებით მინიმალური სამუშაო მახასიათებლების ტესტირების ალტერნატივის სახით.
- (10) სამუხრუჭო სისტემასთან დაკავშირებით, წინამდებარე დირექტივის მოქმედების არეალი ვრცელდება ძირითადად იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა მიმართაც გაიცემა კომპონენტის ტიპის დამტკიცება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათ მისაბმელების გარკვეული კატეგორიის სამუხრუჭო მოწყობილობებთან<sup>1</sup> წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ საბჭოს 1971 წლის 26 ივლისის 71/320/EEC დირექტივის თანახმად, მიუხედავად იმ ფაქტის აღიარებისა, რომ სატრანსპორტო საშუალებების გარკვეული

<sup>1</sup> ოფიციალური ჟურნალი C 202, 6.9.1971, გვ. 37.

ტიპების მიმართ გაიცა აღნიშნული დამტკიცება ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს მოცემული დირექტივის მოთხოვნებისგან.

- (11) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განავრცონ მუხრუჭების ტესტირების არეალი, რათა გაითვალისწინონ წინამდებარე დირექტივის ფარგლებს გარეთ არსებული სატრანსპორტო საშუალებები ან ტესტირების დეტალები.
- (12) წევრი სახელმწიფოები კიდევ უფრო მკაცრად განახორციელებენ ტესტს ან გაზრდიან ტესტირების სიხშირეს.
- (13) წინამდებარე დირექტივის მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების სრული ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირება გამონაბოლქვის სისტემის რეგულარული ტესტირებითა და იმ სატრანსპორტო საშუალებების ხმარებიდან ამოღების გზით, რომლებიც წარმოადგენს ძირითად დამაბინძურებლებს, სანამ არ მოხდება მათი სათანადო მწყობრში მოყვანა.
- (14) ცუდი რეგულირება და არასათანადო ტექნიკური უზრუნველყოფა აზიანებს არა მხოლოდ ძრავს, არამედ აგრეთვე საფრთხეს უქმნის გარემოს, ვინაიდან ზრდის გარემოს დაბინძურებისა და საწვავის ხარჯვის ალბათობას. ძალზედ მნიშვნელოვანია გარემოსთვის შესაფერისი ტრანსპორტის დანერგვა.
- (15) კუმშვით აალებადი (დიზელის) ძრავების შემთხვევაში, გამონაბოლქვი კვამლის გამჭვირვალობის გაზომვა ჩაითვლება სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის სათანადო ინდიკატორად გამონაბოლქვთან დაკავშირებით.
- (16) დადებითი აალებადი (ბენზინის) ძრავების შემთხვევაში, ნახშირჟანგის გამონაბოლქვის გაზომვა გამონაბოლქვის მილიდან, როდესაც ძრავი წარმოდგენილია უქმი სვლის მდგომარეობაში, ჩაითვლება სატრანსპორტო საშუალების სათანადო მდგომარეობად, გამონაბოლქვთან დაკავშირებით.
- (17) იმ სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამონაბოლქვთან დაკავშირებული ტესტირების გაუვლელობის დონე, რომლებიც რეგულარულად გადიან ტექნიკურ უზრუნველყოფას, ასევე შესაძლებელია მაღალი იყოს.
- (18) ბენზინის ძრავის მქონე სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, რომლებთან დაკავშირებითაც ტიპის დამტკიცების სტანდარტები მიუთითებს, რომ ისინი აღჭურვილი უნდა იყოს გამონაბოლქვის კონტროლის თანამედროვე სისტემებით, როგორცაა სამკომპონენტო კატალიზური კონვერტორი ლამბდას კონტროლით, გამონაბოლქვთან დაკავშირებული რეგულარული ტესტირების სტანდარტები უფრო მკაცრი უნდა იქნას დაცული პირობითი სატრანსპორტო საშუალების ტესტირების სტანდარტებთან შედარებით.
- (19) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის მიერ ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ევროპარლამენტისა და

საბჭოს 1998 წლის 13 ოქტომბრის 98/69/EC დირექტივა<sup>1</sup> საჭიროებს 2000 წლიდან ინტეგრირებული სადიაგნოსტიკო (OBD) სისტემების დანერგვას ბენზინის ძრავის მქონე ავტომობილებისა და მსუბუქი კომერციული სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მუშაობის პროცესში სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის კონტროლის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით. აღნიშნულის მსგავსად, 2003 წლიდან OBD სისტემები აგრეთვე აუცილებელი იქნება ახალი დიზელის ძრავის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

- (20) აუცილებლობის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ წინამდებარე დირექტივის მოქმედების არეალიდან გამორიცხონ გარკვეული სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მიმართაც არსებობს ისტორიული ინტერესი. მათ აგრეთვე შეუძლიათ შეიმუშაონ მათი საკუთარი ტესტირების სტანდარტები აღნიშნული სახის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით. თუმცა ამგვარი უფლება არ უნდა იწვევდეს იმაზე მკაცრი სტანდარტების გამოყენებას, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებების თავდაპირველი წარმოება.
- (21) წარმოდგენილია მარტივი, ზოგადი სადიაგნოსტიკო სისტემები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ყოველი ტესტირების ორგანოს მიერ წარმოდგენილი სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების უმეტესობის ტესტირებისთვის. იმ სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული მზა სახის სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიმართონ თავდაპირველი სატრანსპორტო საშუალებების დამამზადებლისგან წარმოდგენილ მოწყობილობას ან უზრუნველყონ შესაბამისი ტესტირების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის მიღება სატრანსპორტო საშუალების დამამზადებლისგან ან მისი ფრენშიაიზის მფლობელი ორგანიზაციისგან.
- (22) სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობის გამართული მუშაობის პერიოდული შემოწმება ხორციელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც წარმოდგენილია ახალი საკონტროლო მოწყობილობა (ტაქოგრაფი) საბჭოს 1998 წლის 24 სექტემბრის (EC) №2135/98 რეგლამენტის თანახმად, რომელიც ცვლის ავტოსატრანსპორტო საშუალებებში საკონტროლო მოწყობილობის შესახებ (EEC) №3821/85 რეგლამენტს და (EEC) №3820/85 და (EEC) №3821/85 რეგლამენტებით სარგებლობასთან დაკავშირებულ 85/599/EEC დირექტივას<sup>2</sup>. 2003 წლიდან დაიწყება აღნიშნული მოწყობილობებით ახალი სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა.
- (23) ტაქსებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები კერძო ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნების მსგავსია. შესამოწმებელი ელემენტები შესაძლებელია იყოს მსგავსი, თუმცა განსხვავდებოდეს მათი ტესტირების სიხშირე.

<sup>1</sup> ოფიციალური ჟურნალი L 350, 28.12.1998, გვ. 1.

<sup>2</sup> ოფიციალური ჟურნალი L 274, 9.10.1998, გვ. 1.

- (24) ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, მისი იურისდიქციის ფარგლებში, გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებების მეთოდური და უმაღლესი სტანდარტების დაცვით ჩატარება.
- (25) ევროკომისიამ უნდა შეამოწმოს წინამდებარე დირექტივის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.
- (26) ვინაიდან წარმოდგენილი მოქმედების მიზნები, კერძოდ, გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ჰარმონიზება, დამახინჯებული კონკურენციის პრევენცია საგზაო გადამზიდვეებს შორის და სატრანსპორტო საშუალებების სათანადოდ შემოწმებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის გარანტია, შეუძლებელია მიღწეულ იქნას დამოუკიდებლად მოქმედი წევრი სახელმწიფოს მიერ და, შესაბამისად, მოქმედების მასშტაბურობიდან გამომდინარე, შესაძლებელია უკეთ განხორციელდეს ევროპული გაერთიანების დონეზე, ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიმართოს შესაბამის ღონისძიებებს, შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად. მოცემული მუხლით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, აღნიშნული დირექტივა არ სცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად.
- (27) წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელი ღონისძიებები მიღებული უნდა იქნას საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელშიც წარმოდგენილია კომისიის მიმართ მინიჭებული უფლებების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებული პროცედურები<sup>1</sup>.
- (28) კერძოდ, ევროკომისიას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, განსაზღვროს ტესტირების მინიმალური სტანდარტები და მეთოდები და უზრუნველყოს მათი ადაპტირება ტექნიკურ პროგრესთან. ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები ატარებს ზოგად ხასიათს და შემუშავებულია წინამდებარე დირექტივის არსებითი მნიშვნელობის არმქონე ელემენტებში ცვლილებების განსახორციელებლად მასზე ახალი, არსებითი მნიშვნელობის არმქონე ელემენტების დამატების გზით, მათი დამტკიცება უნდა მოხდეს 1999/468/EC გადაწყვეტილების 5ა მუხლით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.
- (29) წინამდებარე დირექტივა ხელს არ უნდა უშლიდეს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს III დანართის ბ ნაწილში წარმოდგენილი დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში გადასატანად განსაზღვრულ ვადებთან დაკავშირებით,

**დამტკიცეს წინამდებარე დირექტივა:**

<sup>1</sup> ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

## ▼B

## თავი I

## ზოგადი დებულებები

*მუხლი 1*

1. ყოველ წევრ სახელმწიფოში, აღნიშნულ სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ასევე მათი მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები ექვემდებარება გზისთვის ვარგისიანობაზე პერიოდულ ტესტირებას წინამდებარე დირექტივის შესაბამისად.
2. ტესტირებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები, საგზაო მოძრაობისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების სიხშირე და ტესტირებასთან დაკავშირებული დეტალები წარმოდგენილია I და II დანართებში.

*მუხლი 2*

წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი წევრი სახელმწიფოების მიერ ან სახელმწიფოს მიერ მინდობილი საჯარო ორგანოს მიერ ან სახელმწიფოს მიერ შერჩეული და მისი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მოქმედი ორგანოებისა თუ დაწესებულებების მიერ, ჯეროვნად უფლებამოსილი კერძო ორგანიზაციების ჩათვლით. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებას ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრების სახით მოქმედი დაწესებულებები, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყოველგვარ ზომას, რათა უზრუნველყონ სატრანსპორტო საშუალებების ობიექტური და უმაღლეს დონეზე ტესტირება.

*მუხლი 3*

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყოველგვარ ზომას, რასაც ისინი ჩათვლიან მიზანშეწონილად, რათა დაამტკიცონ, რომ სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირება მინიმუმ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სხვა წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას.

2. ყოველმა წევრმა სახელმწიფომ, იგივე საფუძველზე, როგორც მის მიერ მტკიცებულების გაცემის შემთხვევაში, უნდა აღიაროს სხვა სახელმწიფოში გაცემული მტკიცებულება, რომელშიც მითითებული იქნება, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ, მის მისაბმელსა თუ ნახევრად მისაბმელთან ერთად, გაიარა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება, მინიმუმ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

3. წევრი სახელმწიფოები მიმართავენ სათანადო პროცედურებს, რათა შეძლებისდაგვარად განსაზღვრონ, რომ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით წარმოდგენილ მოთხოვნებს.

## თავი II

### გამონაკლისები

#### მუხლი 4

1. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ წინამდებარე დირექტივის მოქმედების ფარგლებიდან გამორიცხონ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ეკუთვნის შეიარაღებულ ძალებს, სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცავ და სახანძრო სამსახურებს.
2. ევროკომისიასთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, წინამდებარე დირექტივის მოქმედების არეალიდან ან სპეციალური დებულებების საფუძველზე გამორიცხონ გამონაკლის შემთხვევებში მომუშავე ან გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არასოდეს ან ძალიან იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება საზოგადოებრივი სარგებლობის გზებზე, იმ ისტორიული ინტერესის სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით, რომელთა წარმოებაც განხორციელდა 1960 წლის 1 იანვრამდე ან რომლებიც დროებით ამოღებულია ხმარებიდან.
3. ევროკომისიასთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიმუშაონ მათი საკუთარი ტესტირების სტანდარტები ისტორიული ინტერესის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 5

I და II დანართებით გათვალისწინებული დებულებების მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ:

- (ა) განსაზღვრონ გზისთვის ვარგისობაზე პირველი სავალდებულო ტესტირების ჩატარების თარიღი და, შესაბამისობის შემთხვევაში, მოითხოვონ სატრანსპორტო საშუალების წარდგენა ტესტირებისთვის, მის რეგისტრაციამდე;
- (ბ) შეამცირონ ორ თანმიმდევრულ სავალდებულო ტესტირებას შორის არსებული ინტერვალი;
- (გ) გახადონ არასავალდებულო მოწყობილობების ტესტირება სავალდებულო;
- (დ) გაზარდონ შესამოწმებელი დეტალების რაოდენობა;
- (ე) გაზარდონ სატრანსპორტო საშუალების სხვა კატეგორიების პერიოდულ ტესტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;



- (ვ) შეიმუშავონ სპეციალური დამატებითი ტესტები;
- (ზ) მოითხოვონ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით სამუხრუჭო სისტემის ეფექტურობის კიდევ უფრო სრულყოფილი მინიმალური სტანდარტები, ვიდრე II დანართით გათვალისწინებული სტანდარტებია და გაითვალისწინონ ტესტები უფრო მძიმე ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ გადააჭარბებს სატრანსპორტო საშუალების თავდაპირველი ტიპის დამტკიცებასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებს.

### თავი III

#### დასკვნითი დებულებები

##### *მუხლი 6*

1. კომისია დაამტკიცებს ცალკე დირექტივებს, რომლებიც აუცილებელი იქნება II დანართით გათვალისწინებული დეტალების მინიმალური სტანდარტებისა და მეთოდების, ასევე ნებისმიერი სახის ცვლილების განსაზღვრისთვის, აღნიშნული სტანდარტებისა და მეთოდების ტექნიკურ პროგრესთან ადაპტირების მიზნით.
2. დამატების გზით წინამდებარე დირექტივის არსებითი მნიშვნელობის არმქონე ელემენტებში ცვლილებების განსახორციელებლად წარმოდგენილი ღონისძიებები მიღებულ უნდა იქნას 7(2) მუხლით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურების შესაბამისად.

##### *მუხლი 7*

1. ევროკომისიის დახმარების მიზნით შეიქმნება სპეციალური კომიტეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელებისთვის გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ დირექტივის ადაპტირების უზრუნველსაყოფად.
2. წინამდებარე პუნქტის მითითების შემთხვევაში, გამოიყენება 1999/468/EC დირექტივის 5ა(1)-(4) და მე-7 მუხლები, მოცემული დოკუმენტის მე-8 მუხლთან ერთად.

##### *მუხლი 8*

სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების რეგულარული ტესტირების დანერგვიდან არაუმეტეს სამი წლისა, ევროკომისია განიხილავს, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, საკმარისი იქნება თუ არა წარმოდგენილი ტესტები წუნდებული ან რეგულირებადი სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების გამოსავლენად ან საჭიროებს თუ არა ტესტები რაიმე ცვლილებას.

### *მუხლი 9*

წევრი სახელმწიფოები წარუდგენენ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელთაც ისინი დაამტკიცებენ წინამდებარე დირექტივით რეგულირებულ სფეროში.

### *მუხლი 10*

96/96/EC დირექტივა, რომელშიც ცვლილება განხორციელდა III დანართის ა ნაწილით, გაუქმდა, რაც არავითარ ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს III დანართის ბ ნაწილში წარმოდგენილი დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანისთვის განსაზღვრულ ვადებთან დაკავშირებით.

გაუქმებული დირექტივის მითითებები წარმოდგენილი უნდა იქნას, როგორც წინამდებარე დირექტივის მითითები და უნდა იკითხებოდეს IV დანართით წარმოდგენილი საკორელაციო ცხრილის შესაბამისად.

### *მუხლი 13*

წინამდებარე დირექტივა კანონიერ ძალაში შედის *ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნების დღიდან.

### *მუხლი 14*

დირექტივა მოქმედებს წევრი სახელმწიფოების მიმართ.

## ▼B

## დანართი I

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების პერიოდულობა მათი კატეგორიები მიხედვით და მათი ტესტირების სიხშირე

სატრანსპორტო საშუალების კატეგორიები	ტესტირების სიხშირე
1. 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს
2. 3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს
3. 3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს
4. ტაქსები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს
5. არაუმეტეს 3500 კგ ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორებისა და ავტომობილების გარდა	ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ
6. არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი არანაკლებ ოთხთვილიანი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ

▼ **M1***დანართი II*

ელემენტები, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო ტესტირებას  
სარჩევი

1. შესავალი
2. შემოწმების არეალი
3. გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების სერთიფიკატი
4. შემოწმებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები
  0. სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია
    1. სამუხრუჭო მოწყობილობა
    2. საჭით მართვა
    3. ხილვადობა
    4. ნათურები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა
    5. ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება
    6. შასი და შასის სამაგრები
    7. სხვა მოწყობილობები
    8. უარყოფითი ზემოქმედება
    9. მგზავრების გადამყვან M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული დამატებითი ტესტირება

## 1. შესავალი

წინამდებარე დანართი განსაზღვრავს ტესტირებას დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალების სისტემებსა და კომპონენტებს; მასში დეტალურად არის წარმოდგენილი ტესტირების მეთოდი და ის კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს იმ ფაქტის განსაზღვრის მიზნით, მისაღებია თუ არა სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა.

იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებას აღმოაჩნდება წუნი ქვემოთ ჩამოთვლილი ტესტირების ელემენტებთან დაკავშირებით, წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები შეიმუშავებენ შესაბამის პროცედურას იმ პირობების განსაზღვრის მიზნით, რომლებშიც ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძლება იყოს გამოყენებული გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლამდე.

ტესტირება უნდა მოიცავდეს მინიმუმ ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს იმ პირობით, რომ აღნიშნული ელემენტები დაკავშირებული იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო მოწყობილობებთან, რომელთა ტესტირებაც წარმოებს შესაბამის წევრ სახელმწიფოში.

ტესტირება ხორციელდება ამჟამად ხელმისაწვდომი ტექნიკისა და მოწყობილობების გამოყენებით, სატრანსპორტო საშუალების რაიმე ნაწილის დემონტაჟის ან გატანის მიზნით ყოველგვარი ხელსაწყო გამოყენების გარეშე.

ყოველი მითითებული ელემენტი ითვლება საჭიროდ სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტესტირებისას, გარდა (X) ნიშნით აღნიშნული ელემენტებისა, რომლებიც უკავშირდება სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობას და მისი გზისთვის ვარგისობას, თუმცა რომელთაც არ გააჩნიათ არსებითი მნიშვნელობა პერიოდული ტესტირებისას.

'ხარვეზის მიზეზების' მითითება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებულია იმ მოთხოვნებთან, რომლებიც არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების დამამტკიცებელ კანონმდებლობაში სატრანსპორტო საშუალების პირველი რეგისტრაციის, ექსპლუატაციაში პირველი გაშვების ან მოდიფიცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების დროისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების მეთოდი არის ვიზუალური სახის, აღნიშნული გულისხმობს, რომ დეტალების დათვალიერების გარდა, ინსპექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხელით შეეხება მათ, შეაფასებს ხმაურს და გამოიყენებს დათვალიერების ნებისმიერ სხვა საშუალებას, სპეციალური მოწყობილობების გამოყენების გარეშე.

## 2. შემოწმების არეალი

შემოწმება უნდა მოიცავდეს მინიმუმ ქვემოთ წარმოდგენილ დეტალებს იმ პირობით, თუ აღნიშნული უკავშირდება ტესტირებული სატრანსპორტო საშუალების დამოტაჟებულ მოწყობილობას.

- (0) სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია
- (1) სამუხრუჭო მოწყობილობა
- (2) საჭით მართვა
- (3) ხილვადობა
- (4) ნათურები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა
- (5) ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება
- (6) შასი და შასის სამაგრები
- (7) სხვა მოწყობილობები
- (8) უარყოფითი ზემოქმედება

(9) მგზავრების გადამყვან M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული დამატებითი ტესტირება

3. გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების სერტიფიკატი

სატრანსპორტო საშუალების ოპერატორს ან მძღოლს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით ნებისმიერი გამოვლენილი წუნის, ტესტირებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ.

სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული შემოწმების შემთხვევაში გაცემული გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების სერტიფიკატი ითვალისწინებს მინიმუმ შემდეგ დეტალებს:

- (1) VIN (სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო) ნომერი
- (2) სარეგისტრაციო ნიშნის ნომერი და მარეგისტრირებელი სახელმწიფოს ქვეყნის სიმბოლო
- (3) ტესტირების განხორციელების ადგილი და თარიღი
- (4) ოდომეტრის წაკითხვა ტესტირების დროს, საჭიროების შემთხვევაში
- (5) სატრანსპორტო საშუალების კლასი, საჭიროების შემთხვევაში
- (6) გამოვლენილი წუნი (რეკომენდებულია წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნუმერაციის დაცვა) და მისი კატეგორია
- (7) სატრანსპორტო საშუალების ზოგადი შეფასება
- (8) მომდევნო პერიოდული ტესტირების ჩატარების თარიღი (იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის წარდგენა არ მოხდება სხვა საშუალებებით)
- (9) შემოწმების ორგანოს დასახელება და ტესტირებაზე პასუხისმგებელი ინსპექტორის ხელმოწერა ან სახელი, გვარი

4. შემოწმებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

შემოწმება უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ წარმოდგენილ დეტალებს და იყენებდეს მინიმუმ შემდეგი სტანდარტებისა და მეთოდების ჩამონათვალს. გაუმართაობის მიზეზებს წარმოადგენს იმ ხარვეზის მაგალითები, რომლებიც შესაძლებელია გამოვლინდეს.

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
<b>0. სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია</b>		
0.1. სანომრე ნიშნის ფირფიტები (თუ აუცილებელი იქნება არსებული მოთხოვნებით) <sup>(6)</sup>	ვიზუალური შემოწმება	<p>(ა) სანომრე ნიშანი (ნიშნები) საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არასაიმედოდ არის დამაგრებული და არსებობს მათი ჩამოვარდნის ალბათობა.</p> <p>(ბ) ნაწერი არ არის მითითებული ან ბუნდოვანია.</p> <p>(გ) არ შეესაბამება სატრანსპორტო საშუალების დოკუმენტაციას ან ჩანაწერებს.</p>

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
0.2. სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო შასის / სერიული ნომერი	ვიზუალური შემოწმება	(ა) არ არის წარმოდგენილი ან შეუძლებელია მისი მოძიება. (ბ) არასულია, გაურკვეველია. (გ) არ შეესაბამება სატრანსპორტო საშუალების დოკუმენტაციას ან ჩანაწერებს.
<b>1. სამუხრუჭო აღჭურვილობა</b>		
1.1. მექანიკური მდგომარეობა და მოქმედება		
1.1.1. ფეხის მუხრუჭის სატერფული / ხელის ბერკეტი	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება. <i>შენიშვნა:</i> ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც გააჩნიათ ძალოვანი სამუხრუჭო სისტემები, მოწმდება გამორთული ძრავის შემთხვევაში.	(ა) ბერკეტი ძალიან მაგარია. (ბ) ზედმეტი ცვეთა ან ფოლხვა.
1.1.2. სატერფულის/ხელის ბერკეტის მდგომარეობა და მუხრუჭის სამართავი მექანიზმის ფოლხვა	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება. <i>შენიშვნა:</i> ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც გააჩნიათ ძალოვანი სამუხრუჭო სისტემები, მოწმდება გამორთული ძრავის შემთხვევაში.	(ა) გადამეტებული ან არასაკმარისი ფოლხვა. (ბ) მუხრუჭის კონტროლის არასათანადო ფუნქციონირება. (გ) მუხრუჭის სატერფულზე მოცურების საწინააღმდეგო საფარის არარსებობა, მოშვება ან ზედმეტი ცვეთა.
1.1.3. ვაკუუმური წნეხი ან კომპრესორი და რეზერვუარები	კომპონენტების ვიზუალური შემოწმება ნორმალურ მუშა წნევაზე. შეამოწმეთ ვაკუუმური წნეხი ან კომპრესორის მიერ უსაფრთხო სამუშაო მნიშვნელობის და გამაფრთხილებელი მოწყობილობის, მრავალწრედიანი დამცავი სარქველისა და წნევის შემზღუდავი სარქველის ფუნქციონირების მისაღწევად საჭირო დრო.	(ა) არასაკმარისი წნევა / ვაკუუმში გამაფრთხილებელი მოწყობილობის ამოქმედების (ან საზომი მოწყობილობის მიერ სახიფათო მონაცემების ჩვენების) შემდეგ მუხრუჭის სულ ცოტა ორჯერ მაინც გამოყენების მიზნით. (ბ) ჰაერის წნევის/ვაკუუმის წარმოქმნის დრო მუხრუჭების ეფექტურად მოქმედებისათვის არ შეესაბამება მოთხოვნებს <sup>(6)</sup> . (გ) მრავალწრედიანი დამცავი სარქველი ან წნევის შემზღუდავი სარქველი გამოსულია მწყობრიდან. (დ) ჰაერის გაჟონვა, რაც იწვევს ჰაერის წნევის ვარდნას ან ჰაერის სმენით აღქმადი გაჟონვა. (ე) გარე დაზიანება, რაც სავარაუდოდ უარყოფითად აისახება სამუხრუჭო სისტემის ფუნქციონირებაზე.
1.1.4. დაბალი წნევის გამაფრთხილებელი საზომი ან ინდიკატორი	ფუნქციონალური შემოწმება	მწყობრიდან გამოსული ან დეფექტური დაბალი საზომი ან ინდიკატორი.
1.1.5. ხელის მუხრუჭის საკონტროლო სარქველი	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება	(ა) მოღუნული, დაზიანებული ან ზედმეტად გაცვეთილი მაკონტროლებელი. (ბ) სარქველის ღერძის კონტროლი ან თვით სარქველი არასაიმედოა.

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
		<p>(გ) შეერთებები მოშვებულია ან სისტემაში გაჟონვაა.</p> <p>(დ) არადაამაკმაყოფილებელი მოქმედება.</p>
<p>1.1.6. ხელის მუხრუჭი, ბერკეტის კონტროლი, ხელის მუხრუჭის ხრუტუნა მექანიზმი</p>	<p>სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება</p>	<p>(ა) ხრუტუნა მექანიზმი არ აფიქსირებს გამართულ მდგომარეობას.</p> <p>(ბ) ბერკეტის საყრდენის ან ხრუტუნა მექანიზმის ზედმეტი ცვეთა.</p> <p>(გ) ბერკეტის ზედმეტი მოძრაობა, რაც არასწორ მორგებაზე მიუთითებს.</p> <p>(დ) ძალოვანი ამძრავის არარსებობა, დაზიანება ან უმოქმედობა.</p> <p>(ე) გაუმართავი ფუნქციონირება, გამაფრთხილებელი ინდიკატორი აჩვენებს გაუმართაობას.</p>
<p>1.1.7. სამუხრუჭო სარქველები (სარედუქციო სარქველები, განმტვირთველი და რეგულატორები)</p>	<p>სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება</p>	<p>(ა) დაზიანებული სარქველი ან ჰაერის ზედმეტი გადინება.</p> <p>(ბ) კომპრესორიდან ზედმეტი ზეთის გადინება.</p> <p>(გ) სარქველის არასაიმედო ან არასათანადო მონტაჟი.</p> <p>(დ) ჰიდრავლიკური მუხრუჭიდან სითხის გადინება ან გაჟონვა.</p>
<p>1.1.8. მისაბმელების სამუხრუჭო სისტემასთან გადაბმა (ელექტრო და პნევმატიკური)</p>	<p>მაბუქსირებელ სატრანსპორტო საშუალებასა და მისაბმელს შორის ყოველგვარი სამუხრუჭო სისტემის გადაბმის ჩახსნა და ხელახლა შეერთება.</p>	<p>(ა) ონკანი ან თვით-ჰერმეტიზებადი სარქველი დეფექტურია.</p> <p>(ბ) ონკანი ან თვით-ჰერმეტიზებადი სარქველი არასაიმედოდ ან არაადეკვატურად არის დამონტაჟებული.</p> <p>(გ) ზედმეტი გაჟონვები.</p> <p>(დ) არ ფუნქციონირებს გამართულად.</p>
<p>1.1.9. ენერჯის დამგროვებელი რეზერვუარის დამწნევი ცილინდრი</p>	<p>ვიზუალური შემოწმება</p>	<p>(ა) რეზერვუარი დაზიანებულია, კოროზირებულია ან ჟონავს.</p> <p>(ბ) გამოშვები მოწყობილობა არ მუშაობს.</p> <p>(გ) რეზერვუარის არასაიმედო ან არასათანადო მონტაჟი.</p>
<p>1.1.10. მუხრუჭის სერვო (სამეთვალყურეო) ერთეულები, ძირითადი ცილინდრი (ჰიდრავლიკური სისტემები)</p>	<p>სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება</p>	<p>(ა) სერვო მოწყობილობა დეფექტურია ან არაეფექტურია.</p> <p>(ბ) მთავარი ცილინდრი დეფექტურია ან ჟონავს.</p> <p>(გ) მთავარი ცილინდრი არასაიმედოა.</p> <p>(დ) სამუხრუჭო სითხის არასაკმარისი რაოდენობა.</p> <p>(ე) მთავარი ცილინდრის რეზერვუარს სახურავი არ აქვს.</p> <p>(ვ) მუხრუჭის სითხის საინდიკაციო ნათურა განათებული ან მწყობრიდან გამოსულია.</p> <p>(ზ) სამუხრუჭო სითხის დონის საზომი ხელსაწყო გაუმართავია.</p>
<p>1.1.11. ხისტი სამუხრუჭო მილები</p>	<p>სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება</p>	<p>(ა) მწყობრიდან გამოსვლის ან ბზარის გაჩენის რისკი.</p> <p>(ბ) მილებიდან ან შეერთების ადგილებიდან გაჟონვა.</p>



პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
		(გ) მიწები დაზიანებული ან ზედმეტად კოროზირებულია. (დ) მიწები გადაადგილებულია.
1.1.12. დრეკადი სამუხრუჭო შლანგები	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება	(ა) მწყობრიდან გამოსვლის ან ბზარის გაჩენის რისკი. (ბ) შლანგები დაზიანებულია, გაცვეთილია, დაგრეხილი ან ძალიან მოკლეა. (გ) აღინიშნება გაჟონვა შლანგებიდან ან შეერთების ადგილებიდან. (დ) მიწები გამობერილია წნევისაგან. (ე) მიწები ფორიანია.
1.1.13. მუხრუჭის ზესადებები და ნაფენები	ვიზუალური შემოწმება	(ა) ზესადების ან ნაფენის ზედმეტი ცვეთა. (ბ) ზესადები ან ნაფენი დაბინძურებულია (ზეთით, საცხით და ა.შ.). (გ) ზესადები ან ნაფენი არ არის წარმოდგენილი.
1.1.14. სამუხრუჭო დოლები, სამუხრუჭო დისკები	ვიზუალური შემოწმება	(ა) დოლი ან დისკი ზედმეტად არის გაცვეთილი, კოროზირებული დამტკვრეული, არასაიმედო ან გაბზარული. (ბ) დოლი ან დისკი დაბინძურებულია (ზეთით, საცხით და ა.შ.) (გ) დოლი ან დისკი არ არის წარმოდგენილი. (დ) უკანა ფირფიტა არასაიმედოა.
1.1.15. სამუხრუჭო კაბელები, ძელები, ბერკეტები, შეერთებები	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება	(ა) კაბელები დაზიანებული ან გადახლართულია. (ბ) კომპონენტი ზედმეტად გაცვეთილი ან კოროზირებულია. (გ) კაბელის, ძელის ან სახსრის შეერთება არასაიმედოა. (დ) კაბელის მიმმართველი დეფექტურია. (ე) არსებობს გარკვეული შეზღუდვა სამუხრუჭო სისტემის თავისუფალ მოძრაობაზე. (ვ) ბერკეტების / შეერთების არანორმალური მოძრაობა, რაც მიუთითებს ცუდ მიმარჯვებაზე ან ზედმეტ ცვეთაზე.
1.1.16. მუხრუჭის ძალოვანი ამძრავები (მუხრუჭის ზამზარების ან ჰიდრავლიკური ცილინდრების ჩათვლით)	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება	(ა) ძალოვანი ამძრავი გაბზარული ან დაზიანებულია. (ბ) ძალოვანი ამძრავი ჟონავს. (გ) ძალოვანი ამძრავი არასაიმედოდ ან არასათანადოდ არის დამონტაჟებული. (დ) ძალოვანი ამძრავი ზედმეტად კოროზირებულია. (ე) მუშა სარქველის ან დიაფრაგმული მექანიზმის არასაკმარისი ან ზედმეტი ფოლხვა.

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
		(ვ) ჭუჭყისაგან დამცავი საფარი არ არსებობს ან ზედმეტად დაზიანებულია.
1.1.17. დატვირთვისადმი მგრძობიარე სარქველი	სამუხრუჭო სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნისას კომპონენტების ვიზუალური შემოწმება	(ა) დეფექტური შეერთება. (ბ) შეერთება არასწორადაა მორგებული. (გ) სარქველი გაჭედულია ან არ მუშაობს. (დ) სარქველი არ არის წარმოდგენილი. (ე) ტექნიკური მონაცემების ამსახველი ფირფიტა არ არის წარმოდგენილი. (ვ) მონაცემები არ იკითხება ან არ შეესაბამება მოთხოვნებს <sup>(ა)</sup> .
1.1.18. ღრეზოს მარეგულირებლები და ინდიკატორები	ვიზუალური შემოწმება	(ა) მარეგულირებელი დაზიანებულია, გაჭედულია ან არანორმალურად მოძრაობს, აღინიშნება ზედმეტი ცვეთა ან ცუდი მიმარჯვება. (ბ) მარეგულირებელი დეფექტურია. (გ) არასწორად არის დამონტაჟებული ან შეცვლილია.
1.1.19. მედეგი სამუხრუჭო სისტემა (მიმარჯვების ან საჭიროების შემთხვევაში)	ვიზუალური შემოწმება	(ა) არასაიმედო შეერთებები ან დგარები. (ბ) სისტემა აშკარად დეფექტურია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.
1.1.20. მისაბმელის მუხრუჭების ავტომატური ოპერირება	მუხრუჭების შეერთების გაწყვეტა მახუქსირებელ სატრანსპორტო საშუალებასა და მისაბმელს შორის.	მისაბმელის მუხრუჭი არ გამოიყენება ავტომატურად შეერთების გაწყვეტის შემთხვევაში.
1.1.21. სრული სამუხრუჭო სისტემა	ვიზუალური შემოწმება	(ა) სისტემის სხვა მოწყობილობები (მაგალითად, მოყინვის საწინააღმდეგო სითხით შევსებული ტუმბო, ჰაერის საშრობი და ა.შ.), დაზიანებულია გარეგნულად ან ზედმეტად არის კოროზირებული იმ სახით, რაც უარყოფითად აისახება სამუხრუჭო სისტემაზე. (ბ) ჰაერის ან მოყინვის საწინააღმდეგო სითხის გაჟონვა. (გ) არასაიმედოდ ან არასათანადოდ დამონტაჟებული ნებისმიერი კომპონენტი. (დ) ნებისმიერი კომპონენტის არასათანადო შეკეთება ან შეცვლა <sup>(1)</sup> .
1.1.22. სატესტო შეერთებები (მიმარჯვების ან საჭიროების შემთხვევაში)	ვიზუალური შემოწმება	(ა) არ არის წარმოდგენილი. (ბ) დაზიანებულია, არ არის ვარგისი გამოსაყენებლად ან ჟონავს.
<b>1.2. მუშა მუხრუჭის მოქმედება და ეფექტურობა</b>		
1.2.1. მოქმედება	სტატიკური მუხრუჭების ტესტირების შემოწმებისას, ან საჭიროების შემთხვევაში, საგზაო ტესტირებისას, გამოიყენეთ მუხრუჭები ეტაპობრივად მაქსიმალურ სიმძლავრემდე.	(ა) არასათანადო სამუხრუჭო ძალა ერთ ან მეტ თვალზე. (ბ) სამუხრუჭე ძალა რომელიმე თვალზე ნაკლებია იგივე ღრეზის სხვა რომელიმე თვალზე დაფიქსირებული უმაღლესი ძალის 70 %-ზე. ან საგზაო ტესტირების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
		<p>მნიშვნელოვნად გადაიხრება პირდაპირი ხაზიდან.</p> <p>(გ) სამუხრუჭო ძალის არათანაბარი შექიდიულობა.</p> <p>(დ) ნებისმიერ თვალზე მუხრუჭის მოქმედების არანორმალურად დიდი დაგვიანება.</p> <p>(ე) სამუხრუჭე ძალის ზედმეტი ცვლილება ყოველი თვლის სრული ბრუნის განმავლობაში.</p>
<p>1.2.2. ეფექტიანობა</p>	<p>შემოწმეთ სტატიკური მუხრუჭების ტესტირების მექანიზმით ან, აღნიშნულის გამოყენების ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ შენელების საზომი მოწყობილობა (დეცლორემეტრი). 3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე სატრანსპორტო საშუალებებმა ან მისაბმელმა უნდა გაიაროს შემოწმება ISO 21069 ან ექვივალენტური მეთოდებით გათვალისწინებული სტანდარტებით.</p> <p>საგზაო ტესტირება უნდა განხორციელდეს მშრალ კლიმატურ პირობებში, გზის ბრტყელ და სწორ ზედაპირზე.</p>	<p>არ იძლევა მინიმუმ შემდეგ მაჩვენებლებს: სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პირველად დარეგისტრირდნენ წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კატეგორია N1 - 50 %;</li> <li>- კატეგორია M1 - 58%;</li> <li>- კატეგორია M2 და M3 – 50%;</li> <li>- კატეგორია N2 და N3 – 50%;</li> <li>- კატეგორია O2 (XX)<sup>(ა)</sup>, O3 და O4: <ul style="list-style-type: none"> <li>- ნახევრად მისაბმელების შემთხვევაში- 45%;</li> <li>- შეერთების მოწყობილობის მქონე სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში: 50%</li> </ul> </li> </ul> <p>სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პირველად დარეგისტრირდნენ წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლამდე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კატეგორია N1 - 45 %;</li> <li>კატეგორია M1, M2 და M3 – 50%<sup>(2)</sup>;</li> <li>კატეგორია N2 და N3 – 43%<sup>(3)</sup>;</li> <li>კატეგორია O2 (XX)<sup>(ა)</sup>, O3 და O4:</li> </ul> <p>სხვა კატეგორიები (XX)<sup>(ა)</sup>:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კატეგორია L (ორივე მუხრუჭი): <ul style="list-style-type: none"> <li>- კატეგორია L1e: 42%;</li> <li>- კატეგორია L2e, L6e: 40%;</li> <li>- კატეგორია L3e: 50%;</li> <li>- კატეგორია L4e: 46%;</li> <li>- კატეგორია L5e, L7e: 44%;</li> </ul> </li> <li>- კატეგორია L (უკანა თვლის მუხრუჭი): <ul style="list-style-type: none"> <li>- ყველა კატეგორია: 25%</li> </ul> </li> </ul>
<p>1.3. დამხმარე (ავარიული) მუხრუჭის მოქმედება და ეფექტიანობა (იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ცალკე სისტემა)</p>		
<p>1.3.1. მოქმედება</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ დამხმარე სამუხრუჭო სისტემა განცალკევებულია მუშა სამუხრუჭო სისტემისგან, მიმართეთ 1.2.1 პუნქტით გათვალისწინებულ მეთოდს.</p>	<p>(ა) არასათანადო სამუხრუჭო ძალა ერთ ან მეტ თვალზე.</p> <p>(ბ) სამუხრუჭო ძალა ნებისმიერი თვლისთვის ნაკლებია იმავე ღერძის სხვა რომელიმე თვალზე დაფიქსირებული უდიდესი ძალის 70 %-ზე. ან საგზაო ტესტირების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება მნიშვნელოვნად გადაიხრება პირდაპირი ხაზიდან.</p>

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
1.3.2. ეფექტიანობა	იმ შემთხვევაში, თუ დამხმარე სამუხრუჭო სისტემა განცალკევებულია მუშა სამუხრუჭო სისტემისგან, მიმართეთ 1.2.2 პუნქტით გათვალისწინებულ მეთოდს.	(გ) სამუხრუჭო ძალის არათანდათანობითი ცვლილება. დამუხრუჭების კოეფიციენტი ნაკლებია მუშა მუხრუჭის ძალის 50 %-ზე <sup>6)</sup> , რომელიც განსაზღვრულია 1.2.2 პუნქტში ნებადართულ მაქსიმალურ მასასთან დაკავშირებით ან, ნახევრად მისაბმელების შემთხვევაში, ნებადართული ღერძული დატვირთვის ჯამთან დაკავშირებით. (გარდა L1e და L3e შემთხვევებისა).
<b>1.4. ხელის მუხრუჭის მოქმედება და ეფექტიანობა</b>		
1.4.1. მოქმედება	გამოიყენეთ მუხრუჭი სტატიკური მუხრუჭების ტესტირების მექანიზმით შემოწმების ან შენელების საზომი მოწყობილობით (დეცელორემეტრი) საგზაო ტესტირების განმავლობაში.	ერთ მხარეს მუხრუჭი უმოქმედო ან საგზაო ტესტირების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება მნიშვნელოვნად გადაიხრება პირდაპირი ხაზიდან.
1.4.2. ეფექტიანობა	ტესტირება ხორციელდება სტატიკური მუხრუჭების ტესტირების მექანიზმით ან საგზაო ტესტირებით, საინდიკაციო ან ჩამწერი დეცელორემეტრის გამოყენების გზით ან ცნობილი დახრილობის მქონე აღმართზე სატრანსპორტო საშუალებით. ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს დატვირთულ მდგომარეობაში.  ტესტირება სტატიკური მუხრუჭების ტესტირების მექანიზმზე არსებულ წონაზე	არ წარმოადგენს მონაცემებს მინიმუმ ყველა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით, რომლის დამუხრუჭების კოეფიციენტი ნაკლებია 16 %-ზე ნებადართული მაქსიმალური მასის შემთხვევაში ან, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელიც ნაკლებია 12 %-ზე ნებადართული მაქსიმალური კომბინირებული მასის შემთხვევაში, რომელიც უფრო დიდია. (გარდა L1e და L3e შემთხვევებისა).
1.5. მედეგი სამუხრუჭო სისტემის მოქმედება	ვიზუალური შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირების ჩატარება სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით	(ა) ეფექტიანობის ეტაპობრივი ცვლილება არ ხდება (არ მოქმედებს გამწოვ სამუხრუჭო სისტემაზე). (ბ) სისტემა არ ფუნქციონირებს.
1.6. მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა (ABS)	გამაფრთხილებელი სისტემის ვიზუალური შემოწმება	(ა) გამაფრთხილებელი სისტემა გაუმართავია. (ბ) გამაფრთხილებელი სისტემა აჩვენებს სისტემის გაუმართაობას. (გ) თვლების სიჩქარის სენსორები არ არის წარმოდგენილი ან დაზიანებულია. (დ) სადენები დაზიანებულია. (ე) სხვა კომპონენტები არ არის წარმოდგენილი ან დაზიანებულია.
1.7. ელექტრონული სამუხრუჭო სისტემა (EBS)	გამაფრთხილებელი სისტემის ვიზუალური შემოწმება	(ა) გამაფრთხილებელი სისტემა გაუმართავია. (ბ) გამაფრთხილებელი სისტემა აჩვენებს სისტემის გაუმართაობას.

**2. საკით მართვა**

2.1. მექანიკური მდგომარეობა
-----------------------------

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
2.1.1. საჭის მექანიზმის მდგომარეობა	ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, თვლები არ ეხებოდეს მიწის ზედაპირს ან წარმოდგენილი იყოს საბრუნ პოჭოჭიკზე, დაატრიალეთ საჭე საკეტიდან საკეტამდე. საჭის მექანიზმის ოპერირების ვიზუალური შემოწმება.	<ul style="list-style-type: none"> <li>(ა) ამძრავის ოპერირების სიხისტე.</li> <li>(ბ) ხრუტუნა მექანიზმი დახვეულია ან კილოები გაცვეთილია.</li> <li>(გ) ხრუტუნა მექანიზმი ზედმეტად გაცვეთილია.</li> <li>(დ) ხრუტუნა მექანიზმი ზედმეტად მოძრაობს.</li> <li>(ე) აღინიშნება გაჟონვა.</li> </ul>
2.1.2. საჭის მექანიზმის კორპუსის დამაგრება	ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალების თვლების წონა ეხებოდეს მიწის ზედაპირს, დაატრიალეთ საჭე/ხელის ბერკეტი საათის ისრის მიმართულებით და საწინააღმდეგო მიმართულებით ან გამოიყენეთ სპეციალურად ადაპტირებული თვლების ფოლხვის დეტექტორი. მოახდინეთ საჭის მექანიზმის კორპუსის დამაგრების ვიზუალური შემოწმება.	<ul style="list-style-type: none"> <li>(ა) საჭის მექანიზმის კორპუსი არასათანადოდ არის დამაგრებული.</li> <li>(ბ) შასზე წარმოდგენილია დაგრძელებული ფიქსირებული ხვრელები.</li> <li>(გ) სამაგრი ქანჭიკები არ არის წარმოდგენილი ან გატეხილია.</li> <li>(დ) საჭის მექანიზმის კორპუსი გატეხილია.</li> </ul>
2.1.3. საჭის მექანიზმის შეერთების პირობა	ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, ხოლო თვლები ეხებოდეს მიწის ზედაპირს, დაატრიალეთ საჭე საათის ისრის მიმართულებით და საწინააღმდეგო მიმართულებით ან გამოიყენეთ სპეციალურად ადაპტირებული თვლების ფოლხვის დეტექტორი. მოახდინეთ საჭის კომპონენტების ვიზუალური შემოწმება ცვეთაზე, გატეხვასა და უსაფრთხოებაზე.	<ul style="list-style-type: none"> <li>(ა) ფარდობითი მოძრაობა სამაგრ კომპონენტებს შორის.</li> <li>(ბ) სახსრების ზედმეტი ცვეთა.</li> <li>(გ) ნებისმიერი კომპონენტის გატეხვა ან დეფორმირება.</li> <li>(დ) ჩამკეტი მოწყობილობის არარსებობა.</li> <li>(ე) კომპონენტების არასათანადოდ განლაგება (მაგალითად, საჭის ღერძი ან საჭის წვევა)</li> <li>(ვ) არასათანადო შეკეთება ან შეცვლა.</li> <li>(ზ) მტვრისგან დამცავი საფარის არარსებობა, დაზიანება ან გაუმართაობა.</li> </ul>
2.1.4. საჭის მექანიზმის შეერთების ფუნქციონირება	ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, ხოლო თვლები ეხებოდეს მიწის ზედაპირს და ძრავი იმყოფებოდეს მუშა მდგომარეობაში (საჭით მართვა), დაატრიალეთ საჭე საკეტიდან საკეტამდე. შეერთების მოძრაობის ვიზუალური შემოწმება.	<ul style="list-style-type: none"> <li>(ა) საჭის მექანიზმის შეკავშირების ნაწილის გადატანა შასის ფიქსირებულ ნაწილზე.</li> <li>(ბ) საჭის მარჯვნივ არ მუშაობს ან არ არის წარმოდგენილი.</li> </ul>
2.1.5. საჭით მართვა	შეამოწმეთ საჭის სისტემა გაჟონვასა და ჰიდრავლიკური სითხის რეზერვუარის დონეზე (ხილვადობის შემთხვევაში). ისე, რომ სატრანსპორტო საშუალების თვლები ეხებოდეს გზის ზედაპირს და ძრავი იმყოფებოდეს მუშა მდგომარეობაში, შეამოწმეთ საჭით მართვის სისტემა ფუნქციონირებაზე.	<ul style="list-style-type: none"> <li>(ა) სითხის გაჟონვა.</li> <li>(ბ) არასაკმარისი სითხის არსებობა.</li> <li>(გ) მექანიზმი არ მუშაობს.</li> <li>(დ) მექანიზმი დაზიანებულია ან არასაიმედო მდგომარეობაშია.</li> <li>(ე) კომპონენტების არასწორი განლაგება ან დაზინძურება.</li> <li>(ვ) არასათანადო შეკეთება ან შეცვლა.</li> <li>(ზ) კაბელები / შლანგები დაზიანებულია, ზედმეტად</li> </ul>

პუნქტი	მეთოდი	ხარვეზის მიზეზი
კოროზირებულია.		
2.2.	საჭე, დგარი და მართვის ბერკეტი	
2.2.1.	საჭის / მართვის ბერკეტის მდგომარეობა	<p>ისე, რომ სატრანსპორტო საშუალების თვლები ეხებოდეს გზის ზედაპირს, დაატრიალეთ საჭე გვერდიგვერდ დგარის მარჯვენა კუთხეებიდან და გამოიყენეთ ოდნავ დაღმავალი და აღმავალი წნევა. მოახდინეთ ფოლხვის ვიზუალური შემოწმება.</p> <p>(ა) ფარდობითი მოძრაობა საჭესა და დგარს შორის, რომელიც მიუთითებს მოშვებაზე.</p> <p>(ბ) საჭის ბუდეზე შემაჩერებელი მოწყობილობის არარსებობა.</p> <p>(დ) საჭის ბუდის, კიდისა თუ ჩხირების გატეხვა ან მოშვება.</p>
2.2.2.	საჭის დგარი / დამჭერი და ჩანგლები	<p>ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მასა ეხებოდეს მიწის ზედაპირს, შეწიეთ და გამოწიეთ საჭე დგარის შესაბამისად, მიმართეთ საჭე/ხელის ბერკეტი სხვადასხვა მიმართულებით დგარის/ჩანგლის მარჯვენა კუთხეებზე. მოახდინეთ ფოლხვის, დრეკადი შეერთებებისა თუ სახსრიანი ქურობის ვიზუალური შემოწმება.</p> <p>(ა) საჭის ცენტრის ზემოთ და ქვემოთ გადაჭარბებული მოძრაობა.</p> <p>(ბ) დგარის ზედა ნაწილის ზედმეტი მოძრაობა დგარის ღერძიდან.</p> <p>(გ) დაზიანებული დრეკადი გადაბმა.</p> <p>(დ) დეფექტური დამაგრება.</p> <p>(ე) არასათანადო შეკეთება ან ცვლილება.</p>
2.3.	საჭის ფოლხვა	<p>ისე, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი იყოს ორმოზე ან ჯალამბარზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალების თვლების მასა ეხებოდეს გზის ზედაპირს, ძრავა იმყოფებოდეს მუშა მდგომარეობაში საჭით მართვისა და სავალი თვლების წინ მიმართული მდგომარეობით, მსუბუქად გადაატრიალეთ საჭე საათის ისრის მიმართულებითა და საწინააღმდეგო მიმართულებით, შეძლებისდაგვარად, სავალი თვლების დამჯერის გარეშე. მოახდინეთ თავისუფალი გადაადგილების ვიზუალური შემოწმება.</p> <p>საჭის გადამეტებული თავისუფალი ფოლხვა (მაგალითად, კიდეზე არსებული პუნქტის გადაადგილება აღმატება საჭის დიამეტრის ერთ მეხუთედს და ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს)<sup>(5)</sup></p>
2.4.	საჭის საკისარი (X) <sup>(6)</sup>	<p>შეამოწმეთ საჭე შესაბამისი მოწყობილობით</p> <p>საკისარი არ შეესაბამება სატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მონაცემებს ან მოთხოვნებს<sup>(6)</sup>.</p>
2.5.	მისაბმელის მიმმართველი ღერძის საბრუნო პოჭოჭიკი	<p>სპეციალური ადაპტირებული თვლების ფოლხვის დეტექტორის ვიზუალური შემოწმება</p> <p>(ა) კომპონენტი დაზიანებულია ან გატეხილია.</p> <p>(ბ) ზედმეტი ფოლხვა.</p> <p>(გ) დამაგრება დეფექტურია.</p>
